წარმოდგენილი იყო ასევე ამორჩეული ქართული მხატვრის, **ირაკლი მდივნის** (1907-1991), საქართველოში დაბრუნებული 22 ნამუშევარი. ახალმშენილი კოლექციაში, ძირითადად, მისი XX საუკუნის 30-იან წლებამდე შექმნილი ნამუშევრებია, რომლებშიც კარგად ჩანს მხატვრის მოდერნისტული მისწრაფებები. სამწუხაროდ, 1937 წლის რევრუსიების შემდეგ ქართულ მხატვრობაში ეს მიმდინარეობა, ფაქტობრივად, გაქრა.

ხელოვნების სახელის კოლექციებიდან ეროვნულ გალერეაში საგამოფენოდ გადაიხაველა ცნობილი ქართველი თეატრის მხატვრის – ვალერიან სიღამონ-ერისთავის ნამუშევრებაც. 2022 წელს კულტურის სამინისტრომ ხელოვნების სასახლეს ვალერიან სიღამონ-ერისთავის 110 ესკიზი და ერთი ფერწერული ტილო გადასცა; მუზეუმისთვის ასევე შეიძინა ფელიქს ვარლამიშვილის სურათი „ხვატი“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კულტურის სამინისტროს მიერ 2021-2022 წლებში ხელოვნების სახელისათვის შეძენილი უნიკალური ხელნაწერებიც – ორი ავტოგრაფიული ნუსხა **ილია ჭავჭავაძის** ცნობილი პუბლიცისტური წერილებისა – „ზოგი რამ“. ამ სათაურით წერილებს ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის II ნახევარში აქვეყნებდა.

2021 წელს სამინისტრომ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდების შევსების მიზნით შეიძინა ცნობილი პუბლიცისტის, ურუნალისტის, მთარგმნელის, მწერალთა კავშირის სამტრედიის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და დრამატული საზოგადოებების წევრის, **ილია აგლაძის**, არქივი, რომელიც აერთიანებს 1917 წელს მწერალთა კავშირის დაარსებიდან 1921 წლამდე პერიოდის უაღრესად საინტერესო 373 ხელნაწერს, დოკუმენტსა და ფოტოს.

2021 წელსვე ქართული ლიტერატურის მუზეუმს გადაეცა სამინისტროს მიერ შეძენილი **ვალაკტიონ ტაბიძის** დღემდე გამოუქვეყნებელი ოცი ხელნაწერი – 32 ლექსი, დღიურის ექვსი ჩანაწერი, ერთი პირადი წერილი, ორი თარგმანი და ათი ჩანახატი.

სამინისტროს მიერ მუზეუმებისთვის შეძენილი ექსპონატების მეოთხე, ყველაზე მასშტაბური გამოფენა მიმდინარე წლის 12 მარტამდე გაგრძელდება.

სტუდენტები - ნარკობეჭვით რეჟისორები

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კონკურსის – „სტუდენტი რეჟისორების სპექტაკლების დადგმის ხელშეწყობა“ გამარჯვებულები გამოავლინა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, კონკურსის მიზანია სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა; ახალგაზრდა, დემოკრატიული ხელოვნება წარმოიქმნას-პოპულარიზაცია და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. კონკურსის ამოცანაა საქართველოს თეატრების რეპერტუარის შემოქმედებითად გამრავალფეროვნება და ახალი დადგმებით გამდიდრება.

კონკურსის ბიუჯეტი იყო 45 000 ლარი. კონკურსში მონაწილეობისთვის სამინისტროს ცხრა ორგანიზაციამ მიმართა. გაიმარჯვა ექვსმა პროექტმა. კონკურსის გამარჯვებული პროექტებია:

1. სპექტაკლი სლავომირ მროჟევის „კარალი“ მიხედვით. სისპ სენაის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. დამდგმელი რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **ლევან მაქარაძე**;
2. სპექტაკლი ტენესი უილიამსის პიესის, „გათელილი პერნიკის“ მიხედვით. სისპ ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატ-

რი. დამდგმელი რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **კახა მთვარაძე**;

3. სპექტაკლი სლავომირ მროჟევის „ემიგრანტების“ მიხედვით თბილისის კამერულ თეატრში. ააიპ ახალგაზრდული ხელოვნების განვითარების ფონდი „შემოქმედებითი ლაბორატორია“. დამდგმელი რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **ლუკა შაბაძე**;

4. სპექტაკლი ზურაბ ანტონოვის პიესის – „მზე ისევ ამოვა“ – მიხედვით. სისპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. დამდგმელი რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **გიორგი თენაძე**;

5. სპექტაკლი შარლ პეროს ზღაპრის, „ჩემი მებანი კატის“, მიხედვით. სისპ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. დამდგმელი რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **ტატა მეცხოვრებილი**;

6. სპექტაკლი „თეატრალური ვარაყა – ჯაყოს ხიზნები“ თბილისის ამრეშუმის თეატრში. შპს „სილქ ფაქტორი სტუდო“. დამდგმელი რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **მარიამ კახეთელიძე**.


ახლებურად გადაწყობილი სანახაობა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, „თეატრმა ათონელზე“ თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) წარმოდგინა სპექტაკლი „იულიუს კეისარი“. საპრემიერო ჩვენებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

სპექტაკლი რეჟისორმა **გიგა გვანიძემ** კულტურის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით დადგა. უდიდესი კლასიკოსის, უილიამ შექსპირის, ხუმორქმდებიანი ტრაგედია პომპეუსის შეიღების დამარცხების შემდეგ რომში დაბრუნებული იულიუს კეისარის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასა და მის სიკვდილს ეხება. სენატორები კეისარის წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავენ და მის უახლოეს მეგობარს, მარკუს ბრუტუსს, არჩემუნებენ, მასში მონაწილეობა მიიღოს.

თბილისის ისტორიის მუზეუმი დადგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. არათეატრალური სივრცე მაყურებლისა და სივრცის ურთიერთდამოკიდებულების კვლევას ემსახურება.

პროექტისთვის შეიქმნა ახალგაზრდა პროფესიონალებით დაკომპლექტებული შემოქმედებითი ჯგუფი. რეჟისორი, კომპოზიტორი, მხატვარი, ქორეოგრაფი, მსახიობები და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის



სტუდენტები ერთობლივად ქმნიან საინტერესო სანახაობას.

სპექტაკლში მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, შაკო მირიანაშვილი, გიორგი წერეთელი, ნატალია ჯუღელი, თაკი მუმლაძე, გავა შიშინაშვილი, გიორგი რაზმაძე, გიორგი გიორგანაშვილი, გივი მაღალიძე, თათარ ამპუნელი, გიორგი ჩაჩუა.

„უსაზღვრო სტუმარმასპინძლობა“, ანუ ვინ ვართ, რა გვქონდა და რა გვაქვს

გერმანიაში ITB მერლინის ტურისტულ გამოფენაზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება.

ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გამოფენა ქართული გრანდიოზული გალა კონცერტით გაიხსნება, სადაც ცნობილი ქართველი ხელოვანები მონაწილეობენ. გამოფენის 3 ათასამდე სტუმარი ქართული სტუმარმასპინძლობის, საქართველოს კულტურისა და ისტორიის შესახებ შოუს იხილავს. გამოფენის მნიშვნელოვან საუბრობებს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაჭველი.

„საქართველოსთვის როგორც უმდიდრესი კულტურის, ისტორიისა და აწყობის მქონე ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია გერმანიაში ვიყოთ მასშტაბური ტურისტუ-

ლი გამოფენის მასპინძელი ქვეყანა. გერმანიაში ჩვენს სანახაობას მსოფლიოს ყველა ქვეყნის უმაღლესი რანგის წარმომადგენლები, დიპლომატები და საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრები დაესწრებიან“, – აცხადებს ნიკოლოზ რაჭველი.

ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელის თქმით, მასა ფოცხიშვილის თაოსნობით მომზადდა მრავალფეროვანი შოუ, სადაც წარდგენილი იქნება ყველა შემოქმედებითი ელემენტი, რომელმაც საქართველოს მსოფლიოში სახელი გაუთქვა.

„იქ იქნება ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც მე წარმოვადგენ. ჩვენიან ერთად სცენაზე მსოფლიო დონის ორი ვარსკვლავი გამოდის: ნინო მაჩაიძე საოპერო სამყაროში და საორკესტრო-სიმფონიურ სამყაროში ლიმა მათიაშვილი, ასევე მვერის ჩემი კოლეგა, იცეკვებენ სუბივილები. ვფიქრობ ეს ყველაზე კარგი საშუალებაა მოკლე დროში სრული სურათი შეიქმნას, თუ ვინ ვართ, რა გვქონდა და რა გვაქვს და რისი პოტენციალი აქვს საქართველოს“, – ამბობს ნიკოლოზ რაჭველი.

ემატიური ბა-
ლანვა არის სხეულ-
ის ემოციური თავ-
დასვის ფორმა,
როელიც სხვა აღ-
ამიანების გადაჭა-
რბეული ტანჯვის
ხილვისას გვემარ-
თება. თუმცა რაღაც
დროის შემდეგ, თა-
ნაბრძოლის უნარი
შეიძლება დაბრუნ-
დეს და ამაში ტრა-
დიციული თუ სოცი-
ალური მედია გან-
საკუთრებულ რო-
ლს ასრულებს. რა
არის ემოციური ბა-
ლანვის სინდრომის
გამოწვევა? მიზეზი,
გერმანულმა DEU-
STICHE WELE-მ ბა-
არკვია.



რა არის ემოციური გაღანვის სინდრომი და რა როლი აქვს ამაში ტრადიციულ თუ სოციალურ მედიას

რა სდება?

ამ გოლო დროს, როგორც კი ინტერნეტში შევდი-
ვართ, მკვლევარების, კატასტროფებისა და უმეტესად
შემთხვევების შესახებ ცნობები ყველა მხრიდან მოედ-
ინება.

შესაბამისად, დროთა განმავლობაში ადამიანები წყვეტენ
რეაგირებას მედიაში გავრცელებულ ამბებსა თუ სოცი-
ალურ ქსელებში გამოქვეყნებულ პოსტებზე, რომლებიც
ომსა და ძალადობას ეხება. ეს არის ფსიქოლოგიური ფე-
ნომენი, რომელსაც თანაგრძობისგან გადაღლა ან ემ-
პათიური გადაწყვეტილება ეწოდება. ამ დროს ადამიანები კარ-
გავენ უნარს, შეინახონ რეაქცია სხვის მწუხარებაზე და
დაეხმარონ მათ, ვისაც მხარდაჭერა სჭირდება.

„ეს განსაკუთრებით ვიწინასწარმეტყველებს რუსეთის სამ-
ხედრო ინტერვენციის დასრულების შემდეგ“, – იხ-
სენებს ლისაბონში მდებარე, პორტუგალიის კათოლიკური
უნივერსიტეტის კომუნიკაციის სწავლების ასისტენტ-პრო-
ფესორი ჯესიკა რობერტი.

„როდესაც პირველად გავიგე იქ ჩადენილი სისას-
ტივეების შესახებ, საშინელი განცდა დამეფილა. თუმ-
ცა როდესაც შემდეგ გავიგე, რომ მსგავსი რამ სხვა ქა-
ლაქებშიც ხდებოდა, ჩემი რეაქცია არც ისე ექსტრემალ-
ური იყო“, – აღსძენს ის. როგორც ამერიკელი მწერალი
სიუზან ბონტაგი თავის ნარკვევებში წერდა, „როდესაც სხვის
ტკივილს ვუყურებთ, თანაგანცდა არასტაბილური ემოციაა.
ის მუდმივად უნდა ვითარდებოდეს, თორემ გაქრება“.

თანაგრძობისგან გაღალა და ქალაქობისადმი ემოციური

აშშ-ის ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის მედია კვლევის
ექსპერტმა, მრედ ბუშმანმა ჩაატარა ექსპერიმენტების
სერია, რომელიც ადასტურებს, რომ ძალადობრივ სცენებს
ციფრული მედიის ფორმატებში (ვიდეო თამაშები და ფილ-
მები) შეუძლია შეამციროს ადამიანების მიმდებარე რე-
ალურ ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევე-
ების ან ძალადობის მიმართ.

ბუშმანის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში 320 სტუ-
დენტს მონაწილეობდა. მათ 20 წუთის განმავლობაში ით-
ამაშეს ვიდეო თამაშები, რომელთაგან ზოგიერთი ძალა-
დობრივ სცენებს შეიცავდა, სხვა კი – არა. ამის შემდეგ
სტუდენტებს კითხვარი უნდა შეეფასათ და ამ დროს აუდ-
იტორიის კარს გაერათ, დერეფანში, კამათის ხმა ისმოდა.

„ეს იყო პროფესიონალი მსახიობების მონაწილეობით
გამართული ჩხუბის ჩანაწერი. გარდა ამისა, ჩვენს ერთ-
ერთ კვლევას ვთხოვეთ, დერეფანში ნაგვის ურნა მო-
ნოტონურად ეხმარებინა და ხმადასმული კენესა დაეწყო“,
– განუცხადა ბუშმანმა DW-ს. ექსპერიმენტის ავტორები
დააკვირდნენ, თუ რამდენი ხანი დასჭირდათ მონაწილეებს
დერეფანში მყოფი ადამიანის კენესისთვის ყურადღება მი-
ექციათ. საშუალოდ, მონაწილეები, რომლებიც არაძალ-
ადობრივ ვიდეო თამაშებს თამაშობდნენ, 16 წამში კონ-
ცენტრირდნენ, ხოლო მათ, ვინც ძალადობრივ სიმულა-
ციურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, საამისოდ 73 წამი დას-
ჭირდათ. განსხვავებულად აღიქვეს აღნიშნული კატეგო-
რიების წარმომადგენლებმა რეალური კამათის დონეც.
პირველმა ნაწილმა ის უფრო მძაფრად აღიქვა, ვიდრე
– მეორემ.

ძალიან ადვილი მისახვედრია, რომ ძალადობრივი ვი-
დეო თამაშები ადამიანების აგრესიის დონეს ზრდის. თუმცა
ბუშმანის ექსპერიმენტებში, როგორც ჩანს, მათ დროში-
ით მოადუნეს ადამიანთა მიდრეკილება ძალადობის მი-
მართ რეალურ სამყაროში.

„ძალადობრივი სცენების ყურება იწვევს ადამიანების
მოდუნებას და ისინი ფიქრობენ, რომ ძალადობა არც
ისე საშიშია. ამის შედეგად, ისინი ნაკლებად ეხმარე-
ბიან მათ, ვინც რეალურ სამყაროში ძალადობის მსხვერ-
პლი გახდა“, – განმარტავს ბუშმანი.

არის თუ არა თანაგრძობისგან გაღალა ემოციური თავდასვის ფორმა?

ბუშმანის აზრით, ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომე-
ლიც თანაგრძობით გამოწვეულ გადაღლას ეფუძნება,
მგრძობიანობის შემცირებას წარმოადგენს.

„არსებითად, ეს არის ერთგვარი ემოციური ფილტრი,
რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ დაგვიცვას ტრავმული
ან გაუსაძლისი ტანჯვისგან, რომელსაც ვერ გავუმკლავ-
დებით“, – განმარტავს ბუშმანი. თუ როგორ იკლავს მგრძობ-
იანობის დონე ძალადობის სცენების მიმართ, ამკარნაა
სტრესზე ადამიანების ფიზიოლოგიური რეაქციების გაან-
ალიზების დროსაც.

„თუ გავზომავთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის აღ-
მგზნების ფაქტორების ან შიშის დროს ტენიში მიმდინა-
რე ელექტრო იმპულსების რეაქციებს, ვნახავთ, რომ სხე-
ულის ფიზიოლოგიური შოკური რეაქცია ძალადობრივ
სცენებზე შესუსტებულია იმ ადამიანებში, რომლებმაც

ძალადობრივი ვიდეო თამაშები ახლახან ითამაშეს“, –
ამბობს ბუშმანი.

თუმცა მისი თქმით, ძალადობისა და ტრავმის მიმართ
დესენსიბილიზაცია შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი აღ-
აპტაციური სტრატეგია მათთვის, ვისაც საშუალოდ გამო ხში-
რად უწევს ტრავმულ მოვლენებთან გამკლავება. მაგა-
ლითადაც, ამ კატეგორიის მიეკუთვნებიან სამხედროები, ექ-
იმები ან ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში მომუშავე თანამ-
შრომლები. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ძალა-
დობის მიმართ მგრძობიანობა ჩვეულებრივ ადამიანებში
მცირდება.

„სწორედ ორგანიზმის ასეთი ადაპტაცია არის ერთ-
ერთი მექანიზმი, რომელიც რეალურად ასტიმულირებს
საზოგადოებაში შემდგომ აგრესიასა და ძალადობას“,
– განმარტავს ბუშმანი.

რატომ უნდა ვივლით ლოკუმენტის მიმართ?

ფაქტობრივად, იმავს ამბობს სტამბოლის იბნ ხალ-
დუნის უნივერსიტეტის თანამშრომელი იასმინ ალდამე-
ნი. მისი ერთ-ერთი კვლევა ფოკუსირებული იყო ემპა-
თიური გადაწყვეტილების სინდრომისა და მედიის ნეგატიური გა-
შუქების გავლენაზე, რომელიც თურქეთსა და იორდანია-
ში სირიელი ლტოლვილების მიმართ დამოკიდებულე-
ბას ასახავდა.

„ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ლტოლვილების თემსთან
დაკავშირებით მედიის ნეგატიური გაშუქება და გზავნი-
ლები ადამიანებს აკარგავს უფლებებს თანაგრძობისა და უფ-
რი მეტიც, სიძულვილს უფლებებს“, – განუცხადა ალდა-
მენმა DW-ს.

სამწუხაროდ, ამ ფაქტში არაფერია ახალი და გასაკ-
ვირი. ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ აგრე-
სია ყოველთვის არსებობდა. თუმცა ახალი არის ის, თუ
რამდენად სწრაფად შეუძლია ტრადიციულ და სოციალურ
მედიას ადამიანებში ემპათიური გადაწყვეტილების პრო-
ვოცირება. ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოებაში სიძულ-
ვილისა და რასიზმის ზრდას იწვევს.

„ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში ადამიან-
ები სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებ-
ლად სულ უფრო ნაკლებ ფულს გზავნიან. ეს არის ზუსტად
ის, რაც ხდება ახლა თურქეთსა და სირიაში მომხდარ-
ი მიწისძვრების შემდეგ“, – ამბობს ლისაბონის პორ-
ტუგალიური კათოლიკური უნივერსიტეტის წარმომადგე-
ნელი ჯესიკა რობერტი.

შესაქვავალია თუ არა ემატიური გაღანვის სინდრომის დაქვავა?

დრო და დრო, როგორც და აღდამენი ვამათობენ,
რამდენად შესაძლებელია თანაგრძობისა და თანაგან-
ცდის აღდგენა.

„სოციალური მედიის გავლენა შეიძლება გამოყენე-
ბული იყოს ადამიანების მიმართ თანაგრძობისა და თა-
ნაგანცდის მაჩვენებლის გასაზრდელად. ონლაინ პროექტ
Humans of New York-ის ფარგლებში, შევისწავლეთ შემ-
თხვევა, რომლის მიხედვითაც ბიჭს თანაგანცდაში სხვა
ადამიანების ცხოვრებისეული დადებითი და დამაჯერებელი
ისტორიები დაეხმარა და არა - მათი ტრავმები“, – გა-
ნუცხადა რობერტმა DW-ს.

იასმინ ალდამენი კი მოუწოდებს ტრადიციული და სო-
ციალური მედიის მომხმარებლებს, შეცვალონ იმ მასა-
ლებისა და პოსტების ტონი, რომლებიც ისინი ლტოლ-
ვილებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე საუბრობენ.

„ჩემი კვლევის მიხედვით მომზადდა რეკომენდაცია,
რომ სირიელი ლტოლვილთა კრიზისი და ზოგადად, კრი-
ზისები უფრო ჰუმანიტარული პერსპექტივიდან გაშუქდეს.
მედია მიგრანტების შესახებ პოზიტიურ ისტორიებს უნ-
და ჰყვებოდეს, რათა ბევრი ტრავმული ამბის გამო აღ-
ამიანებს თანაგანცდისგან გადაღლა არ განუვითარდეთ“,
– განუცხადა ალდამენმა DW.

მოამზადა „იმედი“

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ-დასავლეთის
ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის
გაუმჯობესების პროექტი

განმახორციელებელი უწყება: საქართველოს
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს სააგტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: P149952
კონტრაქტის №: EWHCIP/CS/CQS-03
გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია: ACT
LLC

კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: 27 თებერვალი,
2023

შერჩევის მეთოდი: CQS - კვალიფიკაციაზე
დაფუძნებული შერჩევა

კონტრაქტის ღირებულება: 285,565.66 ლარი
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 10 (ათი) თვე
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი
სამუშაოები: გზით მოსარგებლეთა კმაყოფილების
კვლევა (საწყისი და საბოლოო)

CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: East-West Highway Corridor Im-
provement Project (EWHCIP)

Project Implementing Agency: Roads Depart-
ment of the Ministry of Regional Development
and Infrastructure of Georgia

Country: Georgia
Project number: P149952

Contract Reference No: EWHCIP/CS/CQS-03
Awarded Firm: ACT LLC

Contract Signature Date: February 27, 2023


Method of Selection: CQS - Consultants' Quali-
fication Selection

Contract Price: GEL 285,565.66

Duration of Contract: 10 (ten) months

Scope of Contract: Road Users Satisfaction Sur-
vey (Baseline and Follow up)

არსებული წესით, მშენებლობის პროექტთან ერთად, გაიცემა ნებართვა, რომელიც მშენებლობის ცალკეულ ეტაპზე სხვადასხვა სახის, მათ შორის სეისმოუსაფრთხოების აქტების შედგენას მოითხოვს. სწორედ ასეთი მონიტორინგია სეისმოკონტროლის უმთავრესი იარაღი: სეისმოუსაფრთხოების ზომები ჯერ პროექტში უნდა იყოს ჯეროვნად გათვალისწინებული, მერე კი მშენებლობის პროცესში უნდა შესრულდეს.



ზოგადად თუ ვიტყვით, მშენებლობაში სეისმომდევლობის საკითხის მდგომარეობა ჩვენში ასეთია: **ამჟამად მოქმედებს 2010 წელს მიღებული სამთავრობო დადგენილება, რომელიც... უკვე იმ დროისთვის მოძველებული მოთხოვნებია გათვალისწინებული(?)**. ზოდატყობის, ამის შედეგად, ახლაც, 2023 წელს, სამშენებლო სექტორში სეისმოუსაფრთხოების პარამეტრების დადგენა ისევ იმ ძველი ნორმებით ხდება, რაც ნამდვილად არ არის იმის მრავალი, რომ დარგში „ფინთი“ კომპანიები მოქმედებენ. თუმცა კი ისიცაა, რომ **მშენებლებს საკუთარი ინიციატივით შეუძლიათ ევროპაში მიღებულ სეისმომდევლობის სტანდარტებზე სწორება, რომლებზეც გაყვანილობით მეთად მოთხოვნებია, მაგრამ, ცხადია, რომ ასეთი მიდგომა მშენებლობის ხარჯის მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.**

სპეციალისტების აზრით, ამ და კიდევ რამდენიმე გარემოების გათვალისწინებით, სეისმომდევლობის ხარისხის დამდგენი სამუშაოების ჩატარებად, ძნელია იმის გარკვევა, თუ რამდენად სანდოა ესა თუ ის შენობა კონკრეტულ რეგიონში. ახალი სახლი მოძველებული სეისმური მოთხოვნების გათვალისწინებით შეიძლება იყოს აგებული და, ამის გამო ნაკლებად საიმედო, მის გვერდით კი იდგას სამშენებლო სამუშაოები უკვე ამორტიზებული, თუმცა კი ფაქტობრივად ჯერაც მყარი კორპუსი. მაგრამ, ზოგად სურათზე თუ ვილაპარაკებთ, სახარბიელო ვითარება ნამდვილად არ გვაქვს, რასაც სპეციალისტები ქვეყნის ყველა მხარეში, უფრო მეტად დიდ ქალაქებში აღნიშნავენ. ამის მიზეზი, უპირველესად ისაა, რომ მათი მეთი ნაწილი საკმაოდ დიდი ხნის წინათაა აგებული, როცა სეისმომდევლობის, უფრო სწორად კი სეისმური უსაფრთხოების ზომებს, ფაქტობრივად, ყურადღებას არ აქცევდნენ. ამასთან, აუცილებელია იმის თქმაც, რომ ახლად აგებული ნაგებობების მხრივაც საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა – **არაიან მშენებლები, რომლებიც საკუთარი ვითარებით „ამეტებენ“ სეისმოუსაფრთხოების ჩვენში სადღესდღეობად დადგენილ ნორმებს, თუმცა კი, სამწუხაროდ, ისიც კარგადაა ცნობილი, რომ გაცილებით მეტი არაიან ისეთები, რომლებიც იმ მოძველებულ მინიმალურ მოთხოვნებსაც სრულად არ აკმაყოფილებენ.**

რაც შეეხება თავად სეისმომდევლობის ნორმატივებს, როგორც ითქვა, ისინი 2010 წელამდე შექმნილი და მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, დღესდღეობით გაცილებით მეტი ვიცით ჩვენი ტერიტორიის გეოლოგიისა და მთლიანად რეგიონის სეისმური პოტენციალის შესახებ. ჩვენში ყველა სახეობის მუნებრივი კატასტროფის საფრთხე არსებობს ამა თუ იმ დონეზე, რომელიც ქანების დეგრადაციას, რელიეფის ეროზიას, თოვლთან თუ წყალთან დაკავშირებულ რისკებს უკავშირდება. მათ შორის ძლიერი მიწისძვრის საშიშროება ყველაზე მეტადაა, რადგან მისით გამოწვეულმა მძიმე შედეგებმა თვით ეროვნულ უშიშროებასაც შეიძლება შეუქმნას პრობლემები. ამდენად, **სამოქალაქო მშენებლობების წარმართვისას, მშენებლებმა და მაკონტროლებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ როგორ დაპროექტდება ნაგებობათა სეისმომდევლობა, როგორ შეასრულდეს საპროექტო დავალებას მშენებელი და რამდენად ობიექტურად შეაფასებს სამუშაოს დამკვეთი.**

სპეციალისტები ერთხმად აცხადებენ, რომ აუცილებელია მშენებლობაში სეისმომდევლობის ახალი ნორმატივების დამკვიდრება და, იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხის უსწრაფესად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი, შედეგებს მყისიერად ვერაზიარებ ვერ მივიღებთ, უდიდეს შემფოთებას იწვევს ისიც, რომ, რამდენადაც ვიცით, ამ მიმართულებით მუშაობა – როგორც თემატური, ისე, შესაბამისად, საკანონმდებლო – ძალიან მდორედ მიმ-

დინარეობს. არადა, ნურც ის დაგვაიწყდება, რომ ამჟამად რაგინდ სწრაფადაც შემოვიტანოთ ახალი სეისმომდევლობის რეგულაციები, უახლოეს დაახლოებით ათ წელიწადში, ისინი კვლავ გადასახედი და კონკრეტულების შესატანი იქნება! ნურც ის დაგვაიწყდება, რომ წინა ხელისუფლების „დიდი მეცადინეობის“ შედეგად, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური თუ გეოფიზიკური მიმართულებით სამუშაოების ფართო ფრონტით გასაშლელად (ფინანსურ მხარეს თავი რომ დავანებოთ), **დღესდღეობით სათანადო კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტაც გვაქვს!** წლების წინ გაუქმდა გეოლოგიური სამმართველო, საინჟინრო გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის ინსტიტუტი, ვ. ზაგრაივის სახელობის სახელმწიფო მიწისძვრებისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ამ მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე კვრა იყო, კიდევ მრავალი სხვა. სეისმური აქტივობის და მიხედვით, საქართველოში მკვეთრად გამოხატული ზონებია **კავკასიონის მთავარი ქედი (მისი სამხრეთი ფერდობი), ჯავახეთის ზეგანი და თბილისის რაიონი.** პირველი ორი ერთობ მეჩხრადაა დასახლებული, სამა-

კლუბონის რისკვა

ტოპიოს „მონეგვაჰე“ სასლები

გიეროდ კომპაქტურად და მჭიდროდ განსახლების ადგილია თბილისი. ეს რაიონი, მართალია, სეისმური აქტივობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, (სავარაუდოდ, ხუთი მაგნიტუდის ფარგლებში), მიწისძვრები და მათ მოყოლილი გარკვეული დაზიანებები ხალხს ჯერაც ახსოვს, თანაც აქ ბევრია მაღლივი შენობა, მათ შორის საკმაოდ უხარისხო, ასევე ძველ, ექსპლუატაციის ვალდამორჩეულ ნაგებობათა რიცხვიც.

თანამედროვე სეისმოლოგიურ ცოდნაზე დაყრდნობით, სპეციალისტები აცხადებენ, რომ თბილისში აგებული ახალი შენობები მ-მალიან მიწისძვრაზე უნდა იყოს გათვლილი და ეს, ხელისუფლებასთან ერთობლივად, თავად მოსახლეობამაც უნდა მოითხოვოს, რათა მშენებლებმა ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამჟამად ევროპული სტანდარტების სეისმომდევლობის ახალი ნორმების შემუშავებამ მუშაობა კი მიმდინარეობს, თუმცა კი ექსპერტების ვარაუდით, პრაქტიკაში მათ შემოღებას დაახლოებით ორ წელიწადში უნდა ველოლოთ...

ოთარ ტურაბელიძე

ბოლოქმის მაგიერ:

სადარბივლოსთან შედარებით, თურქეთი ეკონომიკურად გაცილებით მეტად განვითარებული ქვეყანაა, სადაც ბევრი მხრივ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ნორმები მოქმედებს, მათ შორის მშენებლობის სფეროში. 1999 წელს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად, სეისმომდევლობის მანამდე ისედაც საკმაოდ მაკონტროლები იქ კიდევ მეტად გაამკაცრეს, თუმცა კი, სამწუხაროდ, ვერც ამან უშველა და დაღუპულთა რიცხვით ნობამ თითქმის ხუთ ათეულ ათას კაცს მიუახლოვდა. იქ უკვე დააკავეს სამშენებლო დარ-

გში სეისმურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე ოფიციალური პირი და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რა შეიძლება მოხდეს ჩვენში, კაცმა არ იცის, ვინაიდან, როგორც ვხედავთ, ვერც სხვის მხარე გამოცდილებას ვითვალისწინებთ ხოლმე საკმარისად, არც საკუთარი მტკივნეული მაგალითებით გვასწავლიან ქვუსა: 2011 წლის 13 ივნისს თბილისში მდინარე ვერეს მოვარდნის შედეგად დატრიალებული ტრაგედია ყველას კარგად გვასხოვს, თუმცა კი პოტენციური დატბორვის არეალში მშენებლობის ნებართვები კვლავაც გაიცა და ახლა იქ უკვე მჭიდრო დასახლებაა. და კიდევ: ვაშლიჯვარში მენყერსაში ზონიდან არც ხალხი გაუყვანიათ, გზაც ძველებურად გახსნილია...

ო. ტ.



აუზ ჩინეთს ავრთხილავს...



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ჩინეთს აფრთხილებს, რომ რუსეთისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას ტრაგიკული შედეგები მოჰყვება, პირველ რიგში კი, უკრაინელი ხალხისთვის.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, ნედ პრაისის თქმით, ეს ასევე იქნება მკაფიო სიგნალი ქვეყნებისთვის, რომ პეკინის განცხადება, თითქოს არცერთ მხარეს არ იკავებს ამ ომში, ტყუილია. მისივე განცხადებით, ჩინეთს მოუწევს, გასცეს კითხვას პასუხი, რატომ აწვდის ლეტალურ იარაღს რუსეთს. ამასთან, კითხვები უკვე არსებობს რუსეთისთვის გაწეული სხვა ტიპის დახმარებებთან დაკავშირებით, მათ შორის ეკონომიკური, დიპლომატიური, პოლიტიკური თუ მოსკოვის რიტორიკის მხარდაჭერის მიმართ.

ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე საჭიროა დაფიქრება

აშშ-ის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა პარლამენტის წევრებთან საუბრისას განაცხადა, რადროსაც ნატოში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანების საკითხი განიხილებოდა.



როგორც ორბანმა აღნიშნა, ნატო არის უსაფრთხოების გარანტია და უნგრეთის-თვის ეროვნულ სტრატეგიულ საკითხს წარმოადგენს, თუმცა, მისი თქმით, ის არ არის განწყობილი ენთუზიამით ყველაფერის მიმართ, რაც ნატოში ხდება. უნგრეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ადრე თუ გვიან დღის წესრიგში დადგება ალიანსში უკრაინის გაწევრიანების საკითხი.

„ჩვენ ათიათასწერ უნდა დაფიქრდეთ ნატოს აღმოსავლეთით შემდგომ გაფართოებაზე, რათა უნგრეთი არ იქნას ჩათრეული ომში“, – აღნიშნა ორბანმა, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ ეს მოსაზრება არ ეხება ნატოში შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანებას. შეგახსენებთ, რომ შვედეთი და ფინეთი ნატოში გაწევრიანების პროცესში არიან. ალიანსში მათი წევრობის განაცხადი ნატოს ყველა წევრს აქვს რატოფიციონებული უნგრეთისა და თურქეთის გარდა.

პეროვა ისაა რუსულ ბაზრა

დღის მდგომარეობით, უკრაინის გავლით რუსეთიდან ევროპაში გაზის მიწოდება 39 მლნ კუბურ მეტრს შეადგენს. ამის შესახებ „გაზპრომის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა სერგეი კუპჩანოვმა განაცხადა.

გაზის მიწოდება სადგურ „სუჯას“ მეშვეობით განხორციელდება. 25 თებერვალს მიწოდებული გაზის მოცულობამ 38,1 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა. ტრანზიტის უკრაინის გავლით რუსეთიდან ევროპის ქვეყნებში გაზის მიწოდების ერთადერთი საშუალებად რჩება. გაზსადენის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ მუშაობა სრულად შეჩერებულია.

© ეს ტრიუმფია საქართველოს!

80ლოცავთ – საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები პირველად დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური რაუნდის საგზურს და 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით იაპონიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებში დაიკავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას.

ამით სავადრისად აღინიშნება საუკუნოვანი იუბილე. დიას, შარშან ქართული კალათბურთის დაბადებიდან შესრულებული 100 წლისთავი თორნიკე შენგელიას მიერ მიღებული ტრავის გამო საშინაო ევრობასკეტბე დიდ იმედგაცრუებად გვექცა, მაგრამ მცირედი დაგვიანებით ისტორია მაინც დაეწერეთ და მსოფლიოსაკენ ლაშქრობას აზიიდან დავიწყებთ.

კალათბურთი რომ ქართული ფენომენია, იმ ფაქტითაც დასტურდება, თანამემამულეთა შორის სპორტის სხვა სათამაშო სახეობებზე აღწე რომ მოვიპოვეთ როგორც საკუბრო, ისე ევროპული ტიტულები, თუმცა, ბერძენთა თან ქორქითი დაწყებული, ძველ გვარდიაზე საუბრისას, ნურც უახლოეს წარსულს დავიფიქვებთ.

დიას, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრები 1994 წლის 20 მარტს დაარსდა და მისი მისიურით პირველი ქულები ვახტანგ ნაცვლიშვილის ანგარიშზეა, თითქმის 30-წლიანმა ბიოგრაფიამ კი ზედიზედ 5 კონტინენტურ ფორუმში მონაწილეობა დაიჭირა, რომელსაც გვირგვინად ზაფხულ-შემოდგომის მიჯნაზე აზიაში ასპარეზობა დაედგმება. ეს ზაზა ფაჩულიას, ვლადიმერ ბოისას, ნიკოლოზ ცქტიშვილის, მანუჩარ მარკოშვილისა და ვიქტორ სანიკიძის გზისგამკვლავი თაობის გედის სიმღერაც იქნება, რადგან მისი ანასხლეტები – თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, აგრეთვე თად მაკუაღენი საუკუნოვანი ოცნების ასრულების სულისჩამდგმელი არიან, ხოლო უმერზელმა გიორგი ცინცაძემ, რომელიც 20-წლიანი სანაკრებო კარიერის განმავლობაში 200-ზე მეტი მატჩით გუნდის რეკორდსმენია, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სულაც ვადამწყვეტი საჯარიმო ჩაადლო და პარტნიორებს ოქროს ქულა შესძინა.

საქართველო - ისლანდია 77:80 (19:19, 23:24, 18:19, 17:18).

საქართველო: შერმადინი - 23, შენგელია - 20, მაკუაღენი - 17, სანაძე - 6, ცინცაძე - 5, ანდრონიკაშვილი - 3, ჯინჯარაძე - 3 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ბერიშვილმა, ბურჯანაძემ, მექაურმა, მოქლიშვილმა და ბაქრაძემ.

მთავარი მწვრთნელი - ილიას ზუროსი.



მსოფლიოსკენ - აზიიდან

არც დამარცხებულაქს ასამართლებენ

ისლანდია: ფრიდრიქსონი - 25, გუდმუნდსონი - 12, შინასონი - 11, შალინასონი - 11, ბიორნსონი - 8, აკოქსი - 5, სტეფანსონი - 4, სტეინარსონი - 4 ქულა. ითამაშეს აგრეთვე შერინგსონმა, იონსონმა, ტორჰაიმარსონმა და ტრასტარსონმა.

მთავარი მწვრთნელი - კრეივ პედერსენი. რამდენიმე დღით ადრე სტუმრებმა ორი ლიდერი დაასვენეს და ესპანეთთან უმანსო შეხვედრაში ნახევარი ძალით იზრძოლეს. ვათვლამ გამართლა - საკულტო ფიგურა შერმადინის არყოფნის მიუხედავად, გვიგერების ქვეყნის ქვეშევრდომნი მრისხანე ძალად წარმოჩინდნენ, რომელმაც მანამდე იტალია დაამარცხა, თბილისშიც გაიმარჯვა და ბევრი გვანერვიულა, მაგრამ მიზნამდე 1 ქულა დააკლდა. რაც შეეხება თბილისი არენაზე გადაცემული ტრიუმფების წინაშე განვითარებულ დრამატულ მოვლენებს, მხოლოდ

მის დასაწყისში გავილაღეთ - 19:12, რაც ფარქვემ მიღწეული უპირატესობით იყო გამოწვეული, მაგრამ მას შემდეგ, რაც სკანდინავიელებს შორეული ტყორცები წაუვიდათ, სარბიელზე ნერვების ომი გაჩაღდა, რომელშიც უფალმა არ გაგვიწინა. დადგინდა, რომ ურთიერთშეხვედრებში ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში მსხნელად პირველ მოგებულ გავსვლით შესარჩევ მატჩში ჩავდებულნი შევითქვით. გუნდის მთლიანი შედეგები - 88:85, მომავალი ფორუმის წილისყრას კი 29 აპრილს ფილიპინების დედაქალაქი მანილა უმასპინძლებს.

ასე რომ, დიდი ალბათობით, იქ მითაძითა და მამუკელაშვილით გაძლიერებული უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მზა-ს ვარსკვლავები, სავარაუდოდ, ყველას ყვოლებს.

მატჩის შემდეგ ილიას ზუროსი - ჯვაროსანთა თავკაცი: ეს არის უმედიერესი დღე ჩემს საკალათბურთო კარიერაში. მსოფლიოზე გავსვლით ქართულ კალათბურთს დიდი მუხტი მივეცი. ვადამწყვეტი აღმოჩნდა თბილისში ესპანეთთან და ისლანდიაში გამარჯვება.

მისარია, რომ მთელი ქვეყანა გახახარეთ. მადლობა მთავრობას, ფედერაციას, გულშემატკივრებს. შენგელიამ საოცარი რამ ჩაიდინა - ბევრი იფრინა და 4 დღეში 3 მატჩი ჩაატარა.

მადლობა შერმადინს, რომელმაც ყველას მსგავსად თამაშში სული და გული ჩადო. მაკუაღენიც ჩვენთანია. ის ყველას უყვარს და მას ყველა უყვარს.

ცნობისთვის: მხოლოდ ტყორცა, მედლის ირონიით, სწორედ იმ ფრიდრიქსონმა გააცუდა, რომელმაც მთელი საღამო სისხლი გაგვიშრო, ხოლო გიორგი შერმადინმა დასკვნით 2 მრძოლაში უნიკალური სიზუსტით ისროლა თამაშიდან - 18-დან 18 (ანუ 9-9). მანვე 15-დან 14 საჯარიმო ჩაადლო. სულ ორივე ეტაპზე ჩვენმა ნაკრებმა 12-დან 7 მატჩი მოიგო და 5 წააგო ბურთების შეფარდებით 965:949.

რაც შეეხება მსოფლიოს მე-19 ჩემპიონატის ფორმულას, 32 გუნდი 8 4-წევრიან ჯგუფად დახარისხდება, საიდანაც შემდეგ ეტაპზე 2-2 საუკეთესო გავა.

ევროპის კვრით აზიაში ითამაშებენ საქართველო, საფრანგეთი, სერბეთი, სლოვენია, სამერძეთი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, მონტენეგრო და ფინეთი. თავდაც ხედავთ, რომ უსაბუროდ დარჩნენ ხორვატეთი, თურქეთი, ისრაელი, ბელგია, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და, რაც უდიდესი სენსაცია და მომავალი ტურნირის აუნაზღაურებელი დანაკლისია - არგენტინა სამხრეთ ამერიკიდან, თუმცა, ვიმედოვნებთ, იაპონიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებში მაინც ვაშუაშა ვარსკვლავთკრებელი შეიკრიბება. მოკლედ, გილოცავთ!


© ლაგიონარაზი სკულეტოს არღილი

მსალოის ჩემპიონატის ფინალში 14 ტურით ადრე „ნაპოლი“ უახლოეს მდევრებს უკვე 18(!) ქულით უსწრებს და, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, ხვია ვვარაუდებთ ალბათ ვადამდე მიველოცავთ პირველი ევროპული ტიტულის - სკუდეტოს მოპოვებას.

მორიგი ნაბიჯი ასე ნანატრი ტრიუმფისკენ ლუჩანო სპალიტის გუნდმა სტუმრად ემპოლისს მღვეით გადადგა - 2:0, რაშიც ქართველმა ლეგიონერმა ომასიანი სიტყვა თქვა - ჯერ უელინსკის დასვა ბურთი ფეხზე, რომელმაც მეტოქეს გოლი საკუთარი კარში გაატანა, ხოლო შემდეგ მისივე შორეული დარტყმის შემდეგ ისარგებლა ოსიმენმა მასპინძელთა მეკარის მიერ დაშვებული შეცდომით და მომზარდებულა დავაში მე-19 პუნქტი მიითვალა.

ამასობაში ინტერნი ბოლონიაში დამხრუჭდა - 0:1 და მას თანაქალაქელთა მილანი დაეწია ატალანტასთან გამარჯვებით - 2:0. ნაპოლი 3 მარტს ლაციოს დაუხვდება.

საფეხბურთო სამყაროს აღიარება დაიმსახურა კრემონეზის



ქართველმა მცველმა ლუკა ლოჩოვილმაც, რომელმაც შარშან ავსტრიის ვოლფსბერგერში თამაშისას ვენის აუსტრიას გონდაკარგული მეტოქე გადაარჩინა. მას ფიფას ფეარ პლეის პრიზი გადაეცა. დაჯილდოების იმავე ცერემონიაზე გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ფიფას ვერსიით კარიერაში მეორედ ლეო მესი აღიარეს და იგი ამ მარჯვენალით რონალდუ-ლევიანდოსკის დუეტს დაეწია. დანარჩენი ნომინაციების რჩეულები: მარტინესი, სკალონი, ვიგმანი, პუტელიასი.

ორიოღა სიტყვით

ფოკაში გაკურნადი. მსოფლიოს ჩემპიონატი ფრისტილში, სნოუბორდსა და ფრისკიში. მოგული. ქალები. 1. პერნი ლაფორი (საფრანგეთი). 2. ჯაელინ კაუფი (აშშ). 3. ავითალ ქორელი (ავსტრია). ვაჟები. 1. მაიკლ კინგსბერი (კანადა). 2. მეტ გრეჟი (ავსტრალია). 3. ვალტერ უოლბერგი (შვედეთი). პარალელური სლალომი (სნოუბორდი). ქალები. 1. ჯული ზოგი (შვეიცარია). 2. ლადინა ჯუნი (შვეიცარია). 3. საზინა პოფმანი (ავსტრია). ვაჟები. 1. ანდრეას პრობეგერი (ავსტრია). 2. არვიდ იუნერი (ავსტრია). 3. არნო გოდე (კანადა).

მაკაჰილი პრესტიჟული ტურნირი „მაილის მფი“. ლევან საგინაშვილი - ერმეს გასპარინი (იტალია) 4:2.

ვახანუკი ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მოთამაშე (MVP): ანა კალანდაძე (პოლონეთის დოლინა უეშუვი). იგი 24 წლისაა და პარტნიორებს ჯგუფურ ტურნირში 95 ქულა შეაშველა, მათ შორის 11-


ისით და მ-ბლოკით. ადრე ჩვენი თანამემამულე ამავე ქვეყნის ლოდში, ბერძნულ მარკოპოლოში და თურქულ კლუბებში - სამსუნსა და ანკარაში თამაშობდა.

ქილაოზა ალექსანდრია (მეგობრები). საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრები - 9 მედალი (10-დან) და გუნდური პირველი ადგილი. ოქრო - რამაზ ზოიძე (60), ველა ბოლქვაძე (82), ლაშა გომაძე (87). ვერცხლი - ოთარ აბულაძე (60), ლერი აბულაძე (63), ჯონი ხეცურიანი (67), რომერტ კომლიაშვილი (97). მინჯაო - გურამ ხეცურიანი (87), ზვიად პატარაძე (130).



ბეჟან თუთბერიძე

გასული წლის 2 მარტს აღესრულა პროფესორი ბეჟან თუთბერიძე, ქართული მეცნიერების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთგული მსახური...



დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფ. ფუთში. საშუალო განათლება მიიღო სოფ. კიცხის საშუალო სკოლაში, რომელიც 1959 წელს დაასრულა. იმავე წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის სამთო ტექნიკუმში, რომლის სრული კურსი დაამთავრა წარჩინებით 1962 წელს — „ქვანახშირის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების“ სპეციალობით.

1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეოლოგიის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაამთავრა წარჩინებით 1969 წელს. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, იყო სახელობითი სტიპენდიანი.

1969 წელს მუშაობა დაიწყო მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრაზე. 1972-1978 წლებში იყო მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის პეტროქიმიის ლაბორატორიის გამგე. 1970-1974 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში. 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1997-2006 წლებში იყო თსუ მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის გამგე, ხოლო 2003-2005 წლებში თსუ გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 2005-2007 წლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გეოლოგიის დარგში, 2007-2011 წლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 2011 წლიდან თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 1978 წლიდან. 1978-1980 წლებში იყო მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის ასისტენტი, 1980-1995 წლებში მინერალოგია-პეტროგრაფიისა კათედრის დოცენტი, 1995-2006 წლებში მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის პროფესორი. 2006 წლიდან თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულების პროფესორი. კითხულობდა ლექციებს გეოლოგიის და სასარგებლო წიაღისეულის სპეციალობის სტუდენტებთან და მაგისტრანტებთან მაპროფილებელ დისციპლინებში. ხელმძღვანელობდა სასწავლო და პროფესიულ პრაქტიკებს, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია დისერტაციები.

იყო გეოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, გეოლოგიური სადისერტაციო საბჭოს გეოლოგიური სექციის თავმჯდომარე, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, სამეცნიერო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

მისი სამეცნიერო სფერო ეხება ვულკანოლოგიის, გეოქიმიის, პეტროლოგიისა და მინერალოგიის საკითხებს; შეისწავლა საქართველოს ნეოგენურ-ანთროპოგენურ ვულკანიზმთან დაკავშირებული პოსტვულკანური პიდროთერმული მინერალიზაციის პროცესები.

ბეჟან თუთბერიძე მონაწილეობდა ადგილობრივი და საერთაშორისო სიმპოზიუმების, სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების მუშაობაში.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგები ასახულია მონოგრაფიებში, ადგილობრივ და საერთაშორისო რეიტინგულ და რეფერირებად ჟურნალებში; იგი იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ორი მონოგრაფიისა და ორი სახელმძღვანელოს ავტორი.

2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. კეთილშობილ, თავმდაბალ, ქვეყნის წინაშე ვალმოხდელი ჩვენს ძვირფას ბეჟან თუთბერიძეს ყოველთვის სიყვარულით მოვიგონებთ ისინი, ვინც მას იცნობდა.

მეგობრები

დედა მანანა კუნჭულია, მამა იაკობ ლეჟავა, მეუღლე ნინო სუნიშვილი, ძმა ლევანი, რძალი მაკა მანჯგალაძე, ძმისშვილები სალომე, გიორგი, ანდრია იუნყებიანი, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ლეჟავა

დაკრძალვა დღეს, 1 მარტს, საბურთალოს ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 15 საათზე იქვე მდებარე ყოველთა წმინდათა ეკლესიიდან.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძობს შესანიშნავ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი გაზეთის აქტიურ ავტორსა და თანამდგომს, ბატონ იაკობ ლეჟავას შვილის

ზურაბ ლეჟავას

გარდაცვალების გამო.

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, უიშვიათესი პიროვნული ხიბლით გამორჩეული პიროვნება, უღალატო მეგობარი

ბურაბ

კალანდაძე

და თანაგრძობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ზაურ, მამუკა, ზაალ, ზაზა, ნათია, დოდო თელიები, თამრიკო ტორონჯაძე ოჯახებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა

ოპარ დევიდარიანი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

უკანონო ონლაინ კაზინოები ბიუჯეტს აზარალებენ!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აჭარის რეგიონში, შესაბამისი ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სამი ფაქტი გამოავლინეს, რაზეც, უცხოეთის სამი მოქალაქე პასუხისმგებლობის მიხედვით, მათგან ერთი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს, ქალაქ მათუმში, სამ სხვადასხვა ლოკაციაზე, შენიღბულად მოწყობილი ჰქონდათ ონლაინ გათამაშების ობიექტები, საიდანაც შესაბამისი სავალდებულო ნებართვის გარეშე, ინტერნეტის მეშვეობით, საქართველოში ფარგლებს გარეთ მოქმედ ინტერნეტ კაზინოების ვებ გვერდებზე გადაიციელოდა ლოტოს გათამაშების პროცესი.



დადგენილია, რომ ობიექტების ლეგალურად ფუნქციონირების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტში, სანებართვო მოსაკრებლის სახით, თითოეულ მათგანს უნდა გადაეხადა 100 000 ლარი.

8 ქურდი დააკავეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობის ბრალდებით, 8 პირი დააკავეს, მათ შორის ორი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელია.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სპეციალურად დამონტაჟებული სატუმბის - ე.წ. პომპის მეშვეობით, თბილისში, რეინიგზის მახარისხებულ სავაგონო პარკში არსებული, ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი ვაგონ-ცისტერნიდან დიდი ოდენობით საწვავს იპარავენ. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთბუკიცვმად ამოიღეს ვაგონ-ცისტერნიდან მოპარული დაახლოებით ტონა-ნახევარი საწვავი, რომელიც მოთავსებული იყო 87 ცალ 20-ლიტრიან ბიდონში. ასევე ამოღებულია 127 ცარიელი 20-ლიტრიანი ბიდონი.“

სხინვალში ახალგაზრდა ახალგაზრდა კაცი მოკლეს, დაჭრილია 5 წლის ბავშვი

სხინვალში ახალგაზრდა კაცი მოკლეს და მასთან ერთად მყოფი 5 წლის ბავშვი მძიმედ დაიჭრა, — ამის შესახებ „ეხო კავკაზა“ იუწყება.

მსხვერპლი ავტომობილში საკუთარ ოჯახთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც მას ცეცხლი გაუხსნეს. ბავშვს ორი ცეცხლსასწრალო ჭრილობა აღენიშნება და მისი მდგომარეობა მძიმეა. მოგვიანებით თავდასხმელი, ცხინვალის მკვიდრი ანდრეი ხუგავეი დე ფაქტო სამართალდამცავ ორგანოებს ჩაჰპარდა. მისი ჩვენებით ირკვევა, რომ კონფლიქტის მიზეზი ადრე გაჩენილი უთანხმოება გახდა. ე.წ. პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

გილოცავთ!



თორნიკე აფაქიძე 70 წლისაა!

დღეს, 1 მარტს, 70 წელი შეუსრულდა ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესიონალ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს თორნიკე აფაქიძეს.

ბატონი თორნიკე მთელი ცხოვრება ემსახურება თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს, ქირსა და ღვინაში გვერდში უდგას საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისაც მისი გულუხვი და უანგარო დახმარება სჭირდება. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩა იგი თავის თაობაში და დღემდე ამ ცხოვრებით ცხოვრობს. იმედა, უფალი წყალობას არ მოაკლებს და კიდევ მრავალი წელი მიეცემა საშუალება, ჯანმრთელად და სავსე გულით აკეთოს დიდი მამულიშვილური საქმეები.

ბატონო თორნიკე, კიდევ მრავალი ათეული წელი გატაროს ღმერთმა შენს მრავალრიცხოვან ოჯახში, უსაყვარლეს ადამიანებში და ტოლშემგობრებში. წინ კიდევ მრავალი მშვიდობიანი და შემოქმედებითი ათწლეული გვისურვებია, აფაქიძეთა დიდი გვარის ღირსეულ წარმომადგენლო. გვარავდეს ღმერთი!

მეგობრები

ილონ მასკი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი

„მშენებლის“ მფლობელი, TESLA-ს აღმასრულებელი დირექტორი ილონ მასკი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში დაბრუნდა. Bloomberg-ის ცნობით, ამერიკელმა ფრანგ ბენზონარ რენოს გაუსწრო, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში ლიდერი იყო.

Tesla-ს აქციების ფასი თითქმის 70%-ით გაიზარდა და სწორედ ამან განაპირობა რეიტინგში მასკის ლიდერობა. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე Tesla-ს აქციები 4207,63-მდე გაიზარდა. ეს ზრდა რეალურად იქცა, ასევე კომპანიის მანქანებზე მოთხოვნის გაზრდის გამო. მასკის ქონება ახლა 187,1 მილიარდი დოლარია, რაც მას მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიის სათავეში აყენებს. მორე აღვივებს იკავებს LVMH-ს აღმასრულებელი დირექტორი ბერნარ ანო.



მიგრანტების ნაპი ჩაიძირა

მთლიან საზღვრულ სანაპიროებთან მიგრანტების ნავის ჩაიძირვის შედეგად, 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მათ შორის არიან მცირეწლოვნებიც. ნავზე, რომელმაც თურქეთის სანაპირო 23 თებერვალს იზმირიდან დატოვა, 200-მდე ადამიანი იყო. 80 მათგანი მაშველებმა გადაარჩინეს, ადამიანებს სამძებრო-სამაშველო ოპერაციის ფარგლებში ამ დრომდე ეძებენ. კალაბრიის რეგიონის სანაპიროსთან წყალმა ცხედრების დიდი ნაწილი სანაპიროზე გამოიყარა.

სამართალდამცველებმა ოთხი ეჭვმიტანილი დააკავეს, რომლებიც ნავზე მიგრანტებთან ერთად იმყოფებოდნენ. როგორც გადარჩენილი მიგრანტები ჰყვებიან, კონტრაბანდისტებს 7 500-დან 9 500-მდე დოლარი გადაუხადეს. ნავს გზაში ძრავაზე პრობლემები შეექმნა. მგზავრობის განმავლობაში მათ არ მიუღიათ საკვები. გადაწყვანებმა მათ მხოლოდ სასმელი წყალი დაურიგეს.



„კოვიდ-19“-ის ინფექცია უპანიდან გაუონა



Sars-cov-2-ის კოროვირუსული ინფექციის გავრცელება, რომელიც იწვევს „კოვიდ-19“-ის დაავადებას, სავარაუდოდ, უპანის ჩინური სამეცნიერო ლაბორატორიიდან ვირუსის ნიმუშის გაუონვის შედეგი იყო. ამის შესახებ „უოლ სთრით ჯორნალი“ აშშ-ის ენერჯეტიკის დეპარტამენტზე დაყრდნობით წერს. მედიის ცნობით, აშშ-ის საავიაციო უსწორებელი შეფასება ახალ სადაზვერვო მონაცემებს ეფუძნება. ცოტა ხნის წინ ენერჯეტიკის დეპარტამენტმა დაზვერვის საიდუმლო ანგარიში თეთრ სახლსა და კონგრესს გადასცა, რომელიც შეიცავს ახალ დასკვნებს „კოვიდ 19“-ის პანდემიის დაწყების მიზეზებთან დაკავშირებით. ანგარიშის თანახმად, ვირუსმა უპანის ლაბორატორიიდან ავარიული ინციდენტის შედეგად გაუონა.

„ბეჭდების მბრძანებლის“ სამყაროში



კომპანიის Warner Bros. Discovery-ის გენერალურმა დირექტორმა დევიდ მასლანმა განაცხადა, რომ სტუდიის ხელმძღვანელობამ ჯონ ტოლკინის რომანის „მეჭდების მბრძანებელი“ მიხედვით რამდენიმე ფილმის შექმნის შესახებ შეთანხმება გააფორმა.

პროექტზე კომპანია New Line Cinema იმუშავებს, რომელიც „მეჭდების მბრძანებლის“ ორიგინალურ ტრილოგიას იღებდა. სხვა დეტალები ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა კინორეჟისორის რეჟისორი პიტერ ჯექსონი და მისი თანაავტორები – ფრენ უოლში და ფილიპა ბოიენსი ამბობენ, რომ Warner Bros.-ი მათ პროექტის თითოეული ნაბიჯის შესახებ საქმის კურსში აყენებს. კინორეჟისორმა „მეჭდების მბრძანებელი“ კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი. სამივე ფილმი პიტერ ჯექსონმა ახალ ზელანდიაში, 270-მილიონი დოლარის ბიუჯეტით გადაიღო, გაქირავეს კი მათ 2,9 მილიარდი დოლარი გამოიმუშავეს. სამი ფილმი „ოსკარზე“ 30 ნომინაციაში იყო წარდგენილი, გამარჯვება კი 17-ში მოიპოვეს, რაც აბსოლუტური რეკორდია კინორეჟისორებისთვის.

მკვლელთა იერიშონი



პალესტინის ქალაქ იერიქონში ებრაული წარმოშობის აშშ-ის მოქალაქე მოკლეს. თავდასხმა საავტომობილო გზაზე მოხდა, რა დროსაც აშშ-ის მოქალაქის ავტომობილს ცეცხლი გაუხსნეს. ის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ინციდენტს რამდენიმე საათით ადრე არეულობა უძლოდა წინ. გავრცელებული ცნობით, პალესტინელებმა ებრაულ დასახლებებში ორი პირი მოკლეს, რის შემდეგაც ისრაელის მოქალაქეები თავს დაესხნენ პალესტინურ სოფლებს და ათობით ავტომობილი და საცხოვრებელი სახლი გადაწვეს.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ქვეყნის მთავარი რედაქტორი №170 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35 მთავარი რედაქტორის მოადგილე მამუკა ვაშაქიძე 597-22-07-04 ტექნიკური რედაქტორი კახა ძორიძე პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

გამომცემლობა: შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 36-00-35 შპს „თანადგომა“-ს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 იკავება სტამბა „ქოლორი“ ქ. პალესტინის №3

კოლორი ჯაგანი uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 2 009882 616932 ავტორთა სახურაოდ! რედაქციის მთავარი მუშაკებთან მასალაზე დაიკავება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულად არ ეთმობოდეს რედაქციის პოლიტიკის. ვაჭარის სიუჟეტები პასუხს აბეჭდენ ავტორებს.

გაზეთის მომსახურე ნომერი გაეოვა ხვალ, 2 მარტს

Table with subscription rates: უსტორი ვალუტის ქარსი: აუუ ფორარი - 2.6272; პირი - 2.7751; ბრიტანული პირი სტერლინგში - 3.1471; 100 რუბლი - 3.4940; თურქული ლირა - 0.1399; აზერბაიჯანული მანათი - 1.5454; 1000 სომხური დრამი - 6.7278

Table with exchange rates: აპრილი 1 მარტისთვის: აკროსაპროტი სპარტაკი: ბარი - ლარი +2, ლარი +15; მთიანი რეპორტი - ლარი -1, ლარი +15; ანსაპროტი სპარტაკი: ბარი - ლარი +6, ლარი +17; მთიანი რეპორტი - ლარი +1, ლარი +14; თიბონი: ლარი +7, ლარი +17

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ვებ-გვერდი: www.sakresp.ge